საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/131

ქ. ბათუმი 16 აგვისტო, 2019 წ.

2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 29 ივლისის MES 8 19 00993855 და 2019 წლის 03 აგვისტოს MES 2 19 01014764 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ) ჩარიცხვის უფლების მქონე **აბიტურიენტთა ბსუ-ში რეგისტრაცია განხორციელდეს 2019 წლის 02 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით** შემდეგი განრიგით:

ა) **2 სექტემბერი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის (ქართული ფილოლოგია; ისტორია; ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია;

ფრანგული ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია; თურქული ფილოლოგია; თარგმანმცოდნეობა; ფილოსოფია; თურქეთისმცოდნეობა);

ბ) **3 სექტემბერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის (ბიზნესის ადმინისტრირება და ეკონომიკა);

გ) **4 სექტემბერი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის (ბიოლოგია; ეკოლოგია; გეოგრაფია; ქიმია; ფარმაცია; ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია, მედიცინა, სტომატოლოგია);

დ) **5 სექტემბერი - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის (მათემატიკა; ფიზიკა; კომპიუტერული მეცნიერებები; დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა.

ე) **6 სექტემბერი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის (სამართალმცოდნეობა; ევროპისმცოდნეობა; ფსიქოლოგია; საერთაშორისო ურთიერთობები);

ვ) **9 სექტემბერი - ტექნოლოგიური ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის (მშენებლობა; ტელეკომუნიკაცია; არქიტექტურა; აგრონომია; სასურსათო ტექნოლოგია);

ზ) **10 სექტემბერი - ტურიზმის ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის (ტურიზმი);

თ) **11-12 სექტემბერი - ბსუ-ს ყველა საგანმანათლებლო** პროგრამაზე ჩარიცხვის იმ უფლებამოპოვებული პირებისათვის, რომლებმაც ვერ შეძლეს ზემოთ მითითებულ თარიღებში რეგისტრაციის გავლა.

1.2. ბსუ-ში რეგისტრაციისათვის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) ორი ცალი ფოტოსურათი (3x4), ასევე სურათის ელექტრონული ვერსია (CD დისკი);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);

ე) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვ) ყველა ზემოჩამოთვლილი დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (CD დისკზე).

1.3. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე სწავლის დაწყებამდე ბსუ-ში სწავლის უფლების მქონე პირი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს პირველი სემესტრის სწავლის საფასური (შესაძლებელია ეტაპობრივი გადახდა, **მაგრამ არანაკლებ 800 ლარისა).**

1.4. აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის შეიქმნას **სამუშაო ჯგუფი (მიმღები კომისია)** შემდეგი შემადგენლობით:

ა) მერაბ დიასამიძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ) ამირან შარაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
გ) ლაშა მიქელაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი;
დ) რევაზ ოკუჯავა - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი;
ე) მაყვალა ჯაიანი - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
ვ) ნინო ოძელაშვილი - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
ზ) თამთა ქარცივაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;
თ) ნათია ბერიძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
ი) გოჩა სურგულაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;
კ) ბოჩია ზარანდია - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
ლ) თინათინ გოგოლიშვილი - ტურიზმის ფაკულტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის დეპარტამენტის სპეციალისტი;
მ) გვანცა დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

1.5. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს:

ა) აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესის წარმართვა, მათ შორის აბიტურიენტთათვის საინტერესო, ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება და სამუშაო ჯგუფის მუშაობის (მათ შორის ბსუ-ში მოქმედ სტუდენტურ სერვისებზე - სოციალურ პროექტებზე, სტიპენდიებზე, სწავლის საფასურზე და სხვა, ასევე ბსუ-ს სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებზე, შინაგანაწესზე, ეთიკის კოდექსზე და გაცვლით პროგრამებზე კონსულტაციების გაცემის) კოორდინაცია;

ბ) აბიტურიენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება, პირადი საქმეების გახსნა, ელექტრონული პირადი საქმეების შექმნა და სტუდენტთა ელექტრონულ სერვისებზე შესაბამის პროფილში განთავსება, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისისათვის მიწოდება;

გ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან შეთანხმებით, დარეგისტრირებული აბიტურიენტების სახელობითი სიისა და მათი ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის მომზადება;

დ) დარეგისტრირებული აბიტურიენტების (პირველსემესტრელ სტუდენტთა) ბსუ-ს ელექტრონულ სერვისებზე (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და სტუდენტური პორტალი) რეგისტრაცია და შესაბამისი ინფორმაციის ადმინისტრაციისათვის მიწოდება.

1.6. ბსუ-ში აბიტურიენტთა **ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს** აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, **არაუგვიანეს 2019 წლის 13 სექტემბრისა.**

2. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის საჭირო მატერიალური რესურსითა და ქსელით სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერა.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს, ასევე გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ სირაძემ.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**